N 08/727 10/07/2019

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შედგენა

შესრულების შესახებ ექვსი თვის ანგარიში

2019 წლის ბიუჯეტის საკონტროლო ციფრებზე და პრიორიტეტის დოკუმენტზე მუშაობა დაიწყო 2018 წლის მარტის თვეში. 2018 წლის ივლისის თვეში 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საპროგნოზო მონაცემები წარდგენილი იქნა ფინანსთა სამინისტროში, ბიუჯეტის პარამეტრები ფინანსთა სამინისტროს კომისიაზე განხილული იქნა 2018 წლის 15 აგვისტოს. დაშვებული პარამეტრების მიხედვით 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი 2018 წლის 12 ნოემბერს წარდგენილ იქნა საკრებულოში განსახილველად და დასამტკიცებლად.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის N 33 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის და საფინანსო სამსახურის მიერ გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები 2019 წლის ბიუჯეტის შედგენა შესრულების მხრივ, განვლილ პერიოდში 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანაზე პროექტი მომზადებულ იქნა 4 -ჯერ, ბიუჯეტის ცვლილებები ძირითადად გამოწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31-დეკემბრის N-2577 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროგრამის ფონდიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2342.3 ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N-13 განკარგულებით ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 441,8 ათასი ლარი, საქ.მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის N-215 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 930,0 ლარი, საქ.მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N-554 განკარგულებით ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტს

გამოეყო 202,0 ათასი ლარი, საქ მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N-557 განკარგულებით სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 230,0 ათასი ლარი, საქ მთავრობის 2019 წლის N-45 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 594,0 ათასი ლარი, ასევე 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი შეადგენს 707,7 ათას ლარს. სულ ფონდებიდან გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 5447,8 ათასი ლარი, რაც მთლიანად ასახულია ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში.

2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ადგილობრივი შემოსავლების გეგმა გათვალისწინებული იყო 285,0 ათასი ლარით, მ.შორის გადასახდელების გეგმა ითვალისწინებს 50,0 ათას ლარს, სხვა შემოსავლებიდან გეგმა განსაზღვრულია 235,0 ათასი ლარით. ასევე დღგ 3454,4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 105,0 ათასი ლარი, სულ 2018 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განსაზღვრული იქნა 9292,2 ათასი ლარით.

მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი შეადგენს 5447,8 ათას ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლები შეადგენს 3844,4 ათას ლარს.

შემოსავლების ცალკეული სახეობების მიხედვით გეგმები შესრულებულ იქნა შემდეგის მიხედვით: გადასახადებიდან შემოსავლების წლიური გეგმა გათვალისწინებულია 3504,4 ათასი ლარით, 6 თვის შესრულება შეადგენს 1642,8 ათას ლარს, გეგმა შესრულებულია 46%-ით. აქედან ქონების გადასახადიდან შესრულების გეგმა ითვალისწინებდა 50,0 ათას ლარს ხოლო ფაქტიურმა 77,5 ათასი ლარი შეადგინა 155%, დღგ 3454,4 ფაქტი შეადგენს 1565,3 ათას ლარს 45%, სხვა შემოსავლებიდან წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 235,0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 105,3 ათასი ლარი წლიური გეგმის 44%, მათ შორის ბუნებრივი რესურსებიდან მოსაკრებლის გეგმა გათვალისწინებული იყო 200,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ 87,1 ათასი ლარი შადგინა გეგმის 43%, ჯარიმებიდან და სანქციებიდან უნდა შემოსულიყო 10.0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ 1,4 ათასი ლარი შეადგინა გეგმის 14%, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელებიდან წლიური გეგმა ითვალისწინებდა 25,0 ათას ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ 16,7 ათასი ლარი შეადგინა ანუ წლიური გეგმის 66%. დროულად ხდებოა ბიუჯეტში დაგეგმილი მიზნობრივი თრანსფერის ჩარიცხვა რომლის წლიური გეგმა შეადგენს 105,0 ათას ლარს ხოლო 6 თვის შესრულება შეადგენს 52,5 ათას ლარს 50%

2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები წარმოდგენილია შემდეგის მიხედვით:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2019 წლის წლიური ხარჯების გეგმა ითვალისწინებს 2140,4 ათასი ლარის ხარჯს, ფაქტიურმა ხარჯმა 1060,7 ათასი ლარი შეადგინა გეგმის 51%. მ.შ. საკრებულოს ხარჯების წლიური გეგმა ითვალისწინებდა 527,2 ათასი ლარის ხარჯს, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 251,1 ათასი ლარი, გეგმის 47%. მუნიციპალიტეტის მერიაზე გასაწევი ხარჯები დაგეგმილია 1333,8 ათასი ლარით. ფაქტიურად გაწეულია 690,3 ათასი ლარის ხარჯი წლიური გეგმის 51%. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი გეგმა 5,0 ათასი ლარი, ფაქტი 0,0 გეგმის 0%. წინა წლის დავალიანებაში წარმოშობილი ვალდებულებებში გეგმა ითვალისწინებს 171,2 ათას ლარს , ფაქტიურად გაწეულია 63,3 ათასი ლარის ხარჯი 36% , ლენტეხის თემში მოსახლეობასთან ურთიერთობის ცენტრი გეგმა 107,6 ათასი ლარი ხოლო ფაქტმა შეადგინა 55,9 ათასი ლარი გეგმის 52%.

თავდაცვაზე გეგმით 62,0 ათასი ლარის ხარჯი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 31,3 ათასი ლარი, გეგმის 50%.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე გეგმა შეადგენს 915,6 ათას ლარს ფაქტი 373,0 ათას ლარს გეგმის 40%-ს, გარე განათებაზე გეგმა შეადგენს 13,2 ათას ლარს, გაწეულია 13,2 ათასი ლარის ხარჯი, გეგმის 100%. დასუფთავების ღონისძიებებზე გეგმა 207,0 ათასი ლარი ხოლო გაწეულია 97,2 ათასი ლარის ხარჯი, გეგმის 47%. გარემოს და ბუნებრივი რესურსების განვითარების ცენტრზე გაგმა ითვალისწინებს 45,0 ათას ლარს ხოლო ფაქტი შეადგენს 28,8 ათას ლარს გეგმის 64%, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გეგმა შეადგენს 1191,1 ათას ლარს, ხოლო ფაქტი შეადგენს 341,0 ათას ლარს, 28%. საპროექტო სამშენებლო სამუშაოების ტექ.დოკუმენტაციის შედგენისათვის გეგმა შეადგენდა 112,7 ათას ლარს, ფაქტი შეადგენს 112,7 ათას ლარს გეგმის 100%. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გეგმა 594,0 ათასი ლარი ფაქტი 68,5 ათასი ლარი 11%, სოფლის მეურნეობის მომსახურების ცენტრის გეგმა 50,0 ფაქტი 27,3 შესრულებულია 54%-ით, სკოლამდელ განათლებაზე გეგმა შეადგენს 322,4 ათასი ლარს, ხოლო ფაქტი შეადგენს 143,1 ათას ლარს, გეგმის 44%. სპორტულ ღონისძიებებზე გეგმა 22,0 ათასი ლარი , გაწეული იქნა 15,6 ათასი ლარის ხარჯი, წლიური გეგმის 71%. ოლეგ ლიპარტელიანის ოლიმპიური მომზადების ცენტრი გეგმა 45,0 ათასი ლარი ფაქტი 22,8 ათასი ლარი 50%-ით, სპორტულ სკოლების გაერთიანება გეგმა 100,0 ათასი ლარი ხოლო გაწეულია 54,4 ათასი ლარის ხარჯი, გეგმის 54%. კულტურულ ღონისძიებებზე გეგმა 16,2 ათასი ლარი გაწეულია 9,6 ათასი ლარის ხარჯი, წლიური გეგმის 59%. კულტურის დაწესწბულწბის გაერთიანებაზე გეგმა ითვალისწინებს 311,2

ათას ლარს ხოლო ფაქტი შეადგენა 151,7 ათას ლარს შესრულებულია 48%-ით, . ბიბლიოთეკები გეგმა 90,0 ათასი ლარი ხოლო ფაქტი 44,6 ათასი ლარი დაფინანსებული იქნა 49%-ით, მუზეუმი გეგმა 55,0 ფაქტი 28,5 ათასი ლარი დაფინანსებულია 51%-ით, ჯოკია მაშველიანის სახელობის კულტურის სახლი გეგმა 70,0 ათასი ლარი ხოლო ფაქტი შეადგენს 47,4 ათას ლარს გეგმის 67%-ს, ტელე-რადიო მაუწყებლობა გეგმა 13,0 ათასი ლარი ხოლო ფაქტი შეადგენს 5,2 ათას ლარს გეგმის 40%ს, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე გეგმა 7,0 ათასი ლარი, ფაქტი 1,3 ათასი ლარი დაფინანსებულა 18%-ით. რელიგიური ორგანიზაციები გეგმა 4,0 ათასი ლარი, ფაქტი 0,0 ათასი ლარი გეგმის 0%. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე გეგმა 50,0 ათას ლარს ხოლო ფაქტი შეადგენს 46,1 ათას ლარს გეგმის 92%, ასევა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობა გეგმა 70,0 ათასი ლარი ფაქტი 36,3 ათასი ლარი, შესრულება 51%, სანიტარულ ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სამსახურზე გეგმით 23,0 ათასი ლარი ხოლო ფაქტიური შესრულება 13,2 ათასი ლარი შეადგინა წლიური გეგმის 57%, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად გეგმა შეადგენს 136,4 ათას ლარს ფაქტი 75,1 ათას ლარს შესრულება 55%.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ: / ტ.ჩანქსელიანი/

ტახუ ჩანქსელიანი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი